№ 120
ხუთშაბათი, 19 ივნისი 1897 წ.

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| [illegible] | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 1 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 1 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომ — ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877 — 1897

# ივერია

№ 120
ხუთშაბათი, 19 ივნისი 1897 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## მთავრობის განკარგულებანი

ებოძა უმაღლესის ბრძანებით სამხედრო უწყებაში 11 ივნისს მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის მე-44 ნიჟნიგოროდის დრაგუნთა პოლკის ესტანდარდ-იუნკერს მახათაძეს—კორნეტობა.

დანიშნულ იქმნა: აზნაური ხპალონ ივანეს ძე აბაშიძე ხონის მომრიგებელ-მოსამართლის სკანცელარიო მოხელედ.

## ახალი ამბავი

*** „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობას ტფილისის გუბერნატორის თავ. შერვაშიძისაგან ნებართვა მოუვიდა ახალციხის მაზრის ს. უდეში სამკითხველო დააარსოს ბ-ნის იაკობ მერაბოვის პასუხის-გებლობით.

*** ამ ჟამად ქალაქის გამგეობა მომავალის 1898 წლის ხარჯთა-აღრიცხვის შედგენაშია. ამიტომ გუშინ, 18 ივნისს, ყველა ქვემდებარე დაწესებულებათ მოსთხოვა, რომ მათ 1 ივლისისთვის წარუდგინონ თავიანთ დაწესებულების ხარჯთ-აღრიცხვა.

*** უმაღლესის ბრძანებით 1898 წელ. 1-ლ იანვრიდგან ათის წლის ვადით ხაზინამ პირველ წელიწადს 5,500 მან. უნდა მისცეს ქ. ფოთს პოლიციის შესანახად, ხოლო შემდეგს წლებში ყოველ წლობით ამ ფულიდგან 550 მან. უნდა მოუკლოს.

*** გუშინ, 18 ივნისს, ქალაქის საყასბოში გამგეობის წევრთა და ზოგიერთ ხმოსანთა თანადასწრებით დაჰკლეს მრავალი მსხვილ-ფეხა და წვრილ-ფეხა საქონელი იმ აზრით, რომ სამუდამო ნიხრი დააწესონ ხორცზე და გამოიკვლიონ, თუ რამდენად შეიძლება ხორცზედ ფასის დაკლება.

*** ქალაქის საზოგადო სამმართველოს მსახურთა პენსიების წესდების შესახებ ქალაქის საბჭოს საფინანსო კომისიას უკანასკნელი სხდომა დღეს, ხუთშაბათსა, აქვს ქალაქის გამგეობაში.

*** ტუაპსედგან ნოვოროსსისკამდე ფოსტის გზის გაყვანა თურმე აქვთ განზრახული.

*** განჯის ვაჟთა კლასიკურს გიმნაზიაში წრეულს მხოლოდ ერთს ქართველს, გვარად გიორგობიანს, დაუმთავრებია სწავლა.

*** სახალხო კითხვების გამმართველს კომისიას ამ დღეებში სხდომა ჰქონდა და გარდასწყვიტა, კომისსია საზოგადოებად იქმნას გარდაქმნილი.

ამისათვის უკვე წესდებაც შეუდგენიათ და ამ დღეებში ტფილისის გუბერნატორს თავადს შარვაშიძეს წარუდგენენ, რომ მან თავისს მხრივ იგი ჯეროვანს უმაღლესს მთავრობას წარუდგინოს დასამტკიცებლად.

*** ქალაქის ძველის საბჭოს წევრთა უკანასკნელი სხდომა ორშაბათს, 23 ივნისისათვის, არის დანიშნული.

*** ხმოსანს ა. ს. ბაბოვს განზრახვა თურმე აქვს, ქალაქის საბჭოს წინადადება წარუდგინოს იმის შესახებ, რომ საბჭომ საერო განათლების სამინისტროს წინაშე იშუამდგომლოს და ავლაბარში ვაჟთა კლასიკური პროგიმნაზია დააარსოს. მიზეზი ასეთის წინადადებისა ის არის, რომ ავლაბარი და ნავთლუხი ქალაქის შუაგულ სასწავლებლებისაგან მეტად დაშორებულნი არიან. იქიდგან მოსიარულე მოსწავლე ახალგაზდობა ერთობ შეწუხებულია.

*** ტფილისის სააბრეშუმო სადგურის შენობაში აბრეშუმის მოყვანისა და მეფუტკრეობის შესახებ ლექციების კითხვა 15 ივნისს ვერ დაიწყო იმის გამო, რომ საბაღოსნო სკოლის გამგე და კურსების ხელმძღვანელი ნ. ნ. შავროვი პეტერბურგს იყო და მხოლოდ დღეს მოელიან. ტფილისში სოფლებიდამ უკვე მრავალი მასწავლებელია ჩამოსული. საერო განათლების სამინისტროს ჩრდილო კავკასიიდგან სამი მასწავლებელი გამოუგზავნია ხსენებულს კურსებზედ ლექციების მოსასმენად.

*** ქუთაისი. აქაურის სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორი ბ-ნი სვიმონ ლოლობერიძე თავს ანებებს სამსახურს. ბ-ნის ლოლობერიძის მაგივრად ამ თანამდებობაზედ ჰნიშნავენ ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებელს ბ-ნ ალექსანდრე გარსევანიშვილს. (ცნ. ფურც.)

*** ს. ერკეთი. (ოზურგეთის მაზრა). აქ ერთი საზიზღარი და არ დასათმობი ამბავი მოხდა. 70 წლის მოხუცმა, ვინმე მ. გ—მ, რომელიც შვილის-შვილებით სავსე და ღრმად მოხუცია, ორის სხვა ვაჟბატონის დახმარებით გლეხის ს—ის ახალგაზდა ცოლი მოიტაცეს, ვაჟურად ჩააცვეს და ახალციხისაკენ წაიყვანეს თურმე ვიღაც ბეგისათვის ძღვნად მისართმევად. მაგრამ, სასიხარულოდ ეს საზიზღარი განზრახვა გაუცრუვდათ, და აი, როგორ: ამ დროს ადგილობრივი მამასახლისი თურმე შეჰხვდათ ს. სურებში და შეჰნიშნა, რომ ვაჟურად გამოწყობილი ახალგაზრდა, როგორღაც კაცს არა ჰგავდა. რასაკვირველია, მამასახლისმა მაშინვე ჯეროვანი საშუალება იხმარა და ქალი განათავისუფლა, ხოლო დამნაშავენი შეიპყრო და ჩოხატაურის ბოქაულს წარუდგინა. ამ ჟამად გამოძიება სწარმოებს ამ საქმის შესახებ.

*** სოფ. უკარელის (თელავის მაზრა) მცხოვრებს თავ. გიორგი ჭავჭავაძეს თავის მამის თავ. გიორგი მელქისედეკის ძის ჭავჭავაძის მოწამლვა განუზრახავს, ჩაიში საწამლავი ჩაურევია და მიუტანია მამისათვის, მაგრამ შეუმჩნევია და აღარ დაულევია ჩაი. დამნაშავე შეუპყრიათ და თელავის საპყრობილეში დაუმწყვდევიათ. თავ. გ. ჭავჭავაძე 1894 წელსაც იყო გასამართლებული და ციხეში იჯდა გლეხის სეფიაშვილის მოკვლის გამო.

*** ბ-ნი ზ. ჭიჭინაძე გვთხოვს, რომ დავბეჭდოთ შემდეგი შენიშვნა:

კავკასიის ქრისტიანობის აღმადგინებლის საზოგადოების ერთს მისიონერთაგანს, მოძღვარს ტ. ივანიცკის მიუმართავს იქ, სადაც ჯერ არს, და უთხოვნია, რომ ქართულს ენაზედ დაისტამბოს ის ძველი ქართული ხელთნაწერი წიგნები, რაც-კი მაჰმადიანთა პირის დასაყოფად არის დაწერილი. ასეთია სწორედ და ამ დროის გამოსადეგიც: „სიტყვის გება და დამხობა მაჰმადიანთა“, ქმნილი ბაგრატ ბატონიშვილის მიერ; „დარღვევა და პირის დაყოფა მაჰმადიანთა“ ქმნილი შემოქმედელის მიტროპოლიტის დოსიტეოსის მიერ, ლექსად; და „დარღვევა მაჰმადიანთა“ სარწმუნოებისა და სიტყვა სარკინოზთა მოქცევისათვის სარწმუნოებისათვის ქრისტესსა“, თინე გმელისმის. ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ქართულს ენაზედ ამ ძველ წიგნებს გარდა სხვებიც ბევრია დაწერილი ამ სა-

## ფელეტონი

### „არ მომკვდარვარ!..“ *)

ეტიუდი

III

მახსოვს, ზამთრის სუსხიანი საღამო იყო და საშობაოდ დათხოვილნი ორივენი, მგონი თვით შობის წინადღით, ეკკლესიაში მწუხრზედ მოვხვდით. მე იმ უქმეებში სოფელში არ წაველი და მინდოდა ეს „ბედნიერი დღეები“, ანუ, უკეთ, ეს დღესასწაულები აქვე, ქალაქში, ჩემს მახლობელ ნათესავთან გამეტარებინა. ამ საღამოს-კი მეც ლოცვაზედ მოვხვდი, რადგან გარეთ ციოდა, სეირნობა არა ხერხდებოდა და რაკი ეკკლესიაც ახლო იყო, ვარჩიე ისევ იქ შესვლა... ვილოცეი კიდეც, მაგრამ ლოცვისთვის სადღა დამცალდა, როდესაც მარო დავინახე. ორივემ ეკკლესიაშივე გავაბით ლაპარაკი:

— მარო (ჩვენ უკვე ძალიან დაახლოვებული ვიყავით), ამ დღესასწაულებში აქ დარჩი?

— დიაღ, დღეს ჩემი დედ-მამა ჩამოვიდა სოფლიდგან და აპირებენ ნანათლიღებევამდი დარჩენას. შენც ხომ აქ იქნები?

— კი. არც მე მივდივარ სადმე.

სიჩუმე ჩამოვარდა. ვილაცეებმა ყურადღება მოგვაქციეს.

— ამაღამ იოლკაზედ სადა ხარ? (ეს ის დრო იყო, როდესაც ჩვენში სხვა განათლებასთან ერთად „იოლკობაც“ შემოვიდა, რასაკვირველია, ზოგიერთ ოჯახში და ისიც ქალაქად „ძველებური, ჩვენებური“ ჩიჩილაკი საუკუნო განსასვენებელში ჰსუფევდა).

— არსად. უთუოდ სახლში წავალ

— ეჰ, წამოდი ჩვენსა. ბევრი არავინ იქმნება, მარა... აი, „ლიოლიაც“ მოდის და დროს კარგად გავატარებთ.

„ლიოლია“ მისი ამხანაგი იყო, რომელთანაც ერთად წამოსულიყო მარო მწუხრზე და რომელიც ეხლა გვერდით უდგა.

— არა, მე აგერ ყიფილაშვილისას მიმიწვიეს, ასე რომ თქვენსა ამაღამ ვერ წამოვალ, ჩაგვერია ლაპარაკში მაროს ამხანაგი.

— ლიოლია, როგორ არ გრცხვენია! თუ გიყვარდე წამოდი ჩვენსა!

— შენ არ მომიკვდე, არ შემიძლია, მარო! მაგათ სიტყვა მივეცი.

— Мало чего, სიტყვა მიეცი. უწინ მე არ გითხარი?

— კი, მარა შენ უფრო მახლობლად მიმაჩნიხარ და ისე არ დამემდურები, ეგენი-კი... არ იქნება, მარო, არა, ღმერთმანი, უნდა მაგათთან წავიდე...

— კარგი, როგორც გენებოს, მარა გრცხვენოდეს-კი... ცოტა არ იყოს წყენით უთხრა მარომ თავის „პოდრუგას“.

— მეიცა, ბოშო, სალოცავად მოდი აქ, თუ სალაპარაკოდ,—გააწყვეტინა ლიოლიამ და კიდევ სიჩუმე ჩამოვარდა.

უეცრად ეკკლესიაში ხალხი აზღვავდა და ერთად შეჯგუფდა. ყველა ზეთის საცხებლად ეშურებოდა. ჩვენ ეხლა უფრო დიდი თავისუფლება მოგვეცა ლაპარაკისა, რადგან ამ ჯგლითსა და ხრიალში თითქმის ხმამაღალი მუსაიფიც შეეძლო კაცს გაემართა. რასაკვირველია, ჩვენ ასეთი მარჯვე დრო ხელიდგან არ გავუშვით და ეხლა მარო შემომეკითხა:

— შენ ხომ მაინც წამოხვალ ჩვენსა?

— არ ვიცი, ღმერთმანი... ცოტა მოსვენება მინდოდა... გაკვეთილებმა დამღალა და...

— ეეჰ, არ გრცხვენია! აბა რა დროს მოსვენებაა! წამოდი, თუ ღმერთი გრწამს, ეგეც არ იყოს, მე კაცი არავინ არა მყავს სახლამდის მიმაცილოს. ლიოლია ხომ ჩემთან აღარ მოდის?!.

— კარგი, თუ-კი ეგრეა, რა ვუყო!..

— როგორ, თვარა-კი „რა ვუყოზეა“ საქმე?

— როგორ?

— როგორ და ჰგავს არ გესიამოვნება ჩემთან წამოსვლა?

— აბა ეგ საიდგან მოიფიქრე?

— როგორ! საიდგან?!. ზედვე არ გეტყობა?..

— ხა, ხა,. ხა!

— რას იცინი?

— ნუ გეწყინება, მარო, და შენი სისულელე მაცინებს!

— როგორ თუ ჩემი სისულელე?

— აბა, რაში მოგაფიქრდა, რომ შენთან წამოსვლა არ მესიამოვნება?..

— რა ვიცი!.. Ты такимъ тономъ сказалъ... [1]) აქ კიდევ გაიბუტა მარო.

— Какимъ это тономъ, скажите пожалуйста?!. [2]) არა, დღეს რაღაც სხვანაირ გუნებაზედ ხარ...

— Убирайся!.. Противный!.. [3]).

— ბიჭო!.. რადა ბატონო!.. მაგრამ ჩემს გაკვირვებას არავინ არ მოაქცია ყურადღება და გაბუტული მარო წინ გამექცა ზეთის მოსაცხებლად. მეც უკან გავედევნე... გზაზედ ბევრჯელ შევეკითხე, თუ რაზედ გამაქიაქეს ასე ცუდ-უბრალოთ, მაგრამ ხმა არავინ გამცა. მხოლოდ როდესაც ზეთი ვიცხეთ, ეკკლესიიდგან გამოვედით და ქუჩაზედ ფეხი დავადგით, კვლავ შევეკითხე. მე გადავწყვიტე უსათუოდ გავყოლოდი სახლამდის. ერთი, რომ ისედაც წავყვებოდი მაროს, თუნდა არც ეთქვა არაფერი მაინც, მხოლოდ ვაწვალებდი თორემ და, მეორე, მეტად დიდი ცნობის-მოყვარეობა აღმიძრა მისმა გაბუტვამ, რადგან მეგონა ჩემთვისაც ჩამოიხურა, ჩემი მარო თავის დღეში ხმას არ გამცემდა და ეგ-კი ჩემთვის მეტად დიდი რამე იყო, რაკი მარო მართლაც დიდად მიღირდა. ამიტომაც კვლავ შევეკითხე:

— რაზედ შემომწყრერით, ქალბატონო მეთქი.

— Ты какой-то странный, ейБогу... Не видишь, что... право люблю тебя .. მაროს ხმა აუკანკალდა და დაღამებული რომ არ ყოფილიყო, უთუოდ შევამჩნევდი, რომ ყურებამდის გაწითლდა.—И по этому, განაგრძო კვლავ რუსულად, каждое твое такое слово меня раздражаетъ... Неужели ты настолько малъ, что этого не понимаешь и не замѣчаешь?.. Или не хочешь замѣтить, можетъ быть... [4]).

მე სრულიად დავიბენი.. ეს გამოტეხა ჩემთვის მეტათ უცხო და თან მეტად სასიამოვნო იყო. დიდი ხანი იყო, პირიქით, მე სრულის ჩემის ყმაწვილის არსებით მიყვარდა მარო,

*) იხ. „ივერია“ № 119.

[1]) რაღაც იმ გვარის კილოთი სთქვი...

[2]) რაგვარის კილოთი, ერთი გამაგებინა ნეტა!..

[3]) დაიკარგე!.. საძაგელი!..

[4]) რაღაც საკვირველი ხარ, ღმერთმანი!.. ვერ ჰხედავ, რომ... ღმერთმანი მიყვარხარ.. ამიტომაც ყოველი შენი ამგვარი სიტყვა მაღელვებს... ნუ თუ იმდენად პატარა ხარ, რომ ეს არ გესმის და ვერ შენიშნე... ან და, შეიძლება, არც გინდა შენიშნო,

გნის შესახებ. დღეს ასეთი წიგნების ბეჭდვა განუზრახავს ქრისტიანობის აღმადგენელს საზოგადოებას და ახლა ჩვენი ვალია, რომ ამ საქმეს ხელი მოუმართოთ და თუ ვისმეს ამის მსგავსი რამე ხელთნაწერი მოეპოვებათ, დროებით დაგვითმონ და წარმოგვიდგინონ მე. განხილვის შემდეგ წიგნი უსათუოდ დაიბეჭდება და დაბეჭდვის შემდეგ ხელთნაწერი და დაბეჭდილის ერთი ცალიც პატრონსვე დაუბრუნდება პატივისცემით. ახლა საქმე მხოლოდ წიგნების მოპოვებაზეა დამოკიდებული.

*** სოფ. ბესლანი (კავკავის მაზრა), ამ თიბათვის პირველ რიცხვებში ერთი კაცის კვლა მოხდა აქ. საქმე ასე იყო: ბესლანის სადგურს ახლო მდ. თერგის პირად ღამის მეხრეები ღამე თავიანთ საქონელს აძოვებდნენ, სხვათა შორის აქ იყო ერთი სოფ. ხიდეყუსელი ოსი და ხარებს აძოვებდა. მიუცვივდნენ ავაზაკები, ზედი-ზედ ორი თოფი დაახალეს, იქვე მოკლეს, გაირეკეს ხარები და გაუდგნენ გზას. ამ საქმის გამო სოფ. ბესლანელებს მთავრობამ გამოუცხადა, ან კაცის მკვლელი იპოვნეთ და ან სისხლი უნდა ჰზღოთო.

## შეცდომის გასწორება

„ივერიის“ მე-113№-ში დაბეჭდილი იყო წერილი სუფსიდან, რომელშიაც შეცდომით დაბეჭდილი იყო: „ამ ჟამად-კი სუფსაში სამკითხველოს დაარსების საქმემ“... უნდა იყოს: „ამ ჟამად მიქელ-გაბრიელში სამკითხველოს დაარსების საქმემ.

## წერილი ქიზიყიდგან.

„რაც ვყოფილვართ ის აღარ ვართ, რაც ვართ, ის ნუღარ ვიქნებით“.— ყველა შეგნებული ადამიანი ჰგრძნობს აწინდელს ჩვენს სავალალო მდგომარეობას, ჩვენს გათახსირებას. ისიც ცხადია, რომ ჩვენის ერის უმრავლესი ნაწილი, ე. ი. გლეხკაცობა, უმეცრების მორევში ჩაფლულა, საჭიროა ჩვენს გლეხკაცობას მიენიჭოს მადლი და ნათელ-სხივი სწავლა-განათლებისა, თუ გვინდა, რომ დაღუპვის გზას ავცდეთ —ჩვენის ერის გულშემატკივართა უმთავრესი ყურადღება გლეხკაცობის გათვითცნობიერებისაკენ უნდა იყოს მიქცეული, რათა სამუდამოდ სხვის სახრჩობლოთ და სათლელ დუმად არ დავრჩეთ. სანამ ჩვენი გლეხკაცობა არ შეიგნებს აწინდელს ჩვენს ვითარებას, არ აღგძრავთ მასში მოქალაქეობრივ გრძნობათ და ადამიანურ ღირსებისა და უფლების მოვალეობას, იმ დრომდის უკეთესის მერმისის იმედი არ უნდა გვქონდეს. უმეცრების დასათრგუნად სწავლა-განათლება არის მიჩნეული, და ჩვენც დიდის აღტაცება-სიხარულით უნდა შევეგებოდეთ ამ მხრივ გადადგმულს პატარა ნაბიჯსაც-კი.

ამ ეხლა საბოლოოდ გადაწყდა სიღნაღის მაზრის მაჩხაანის საზოგადოებაში დაარსდეს მეორე კლასიანი სასწავლებელი პედაგოგიურისა და სასოფლო-სამეურნეო განყოფილებით. ამ სასწავლებლისათვის შესაფერი და ყოველმხრივ მოხერხებული ადგილიცა არის ამორჩეული სავარძლო მეთავადეურის ნ. გ. ტატიშვილის მიერ სოფელ ქვემო-მაჩხაანსა და ფანანის შუა. გარდა იმისა, რომ ეს ადგილი მაჩხაანის საზოგადოების სოფლების შუაგულ ადგილას შეადგენს, სასკოლე ადგილის ღირსებად უნდა ჩაითვალოს ჯანსაღი ჰავა, მშვენიერი მაღლობი მდებარეობა, სასმელისა და სარწყავი წყლების სიუხვე და საკმარისი თავისუფალი მამული სამეურნეო განყოფილებისათვის. ამ სასწავლებლის შენობის ასაგებად, რომელიც სულ უკანასკნელ თერთმეტ თორმეტის ოთახიდგან უნდა შესდგებოდეს, სასულიერო მთავრობისაგან ერთხანად გადადებულა 2,000 მანეთი, მხოლოდ ყოველს წელს მასწავლებელთა ჯამაგირისა და სხვა საჭიროებისათვის 1,500 მანეთი. შენობისათვის დანარჩენი ხარჯი სოფლის საზოგადოებათ უნდა იკისრონ.

მეორეკლასიანი სასწავლებელი ორკლასიან სასწავლებელზედ მაღლა სდგას და შესდგება სამის კლასიდგან პედაგოგიურისა და სასოფლო სამეურნეო განყოფილებით. თითო კლასში ორორი განყოფილებაა ორ-ორის წლის კურსით. სასწავლებელთან არსებობს უსათუოდ პანსიონი, მოშორებული სოფლების გლეხკაცობის შვილთათვის, და პირველ დაწყებითი სამაგალითო სკოლა. მეორე-კლასიან სასწავლებელში კურს დამთავრებულთ წერა-კითხვის სკოლებში მასწავლებლობა ეძლევათ და სამრევლო-სავკლესიო სკოლებში მასწავლებელთა თანაშემწეობა. როგორც მკითხველი ჰხედავს, ასეთი სასწავლებელი სწორედ მისწრებაა ჩვენის მაზრის მკვიდრთათვის. პირველ დაწყებითი სამრევლო და სამინისტრო სკოლებს გარდა ქიზიყელებს არა გაგვაჩნიარა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ქ. სიღნაღის სამოქალაქო სასწავლებელს. გაათავებს თუ არა სწავლას სოფლის სკოლაში უმაწვილი, ისევ უმეცრებით მოცულს წრეს უნდა დაუბრუნდეს, რადგანაც არა აქვს საშუალება შორს, მაღალს სკოლაში განაგრძოს სწავლა სიღარიბისა გამო. ის პატარა ცოდნაც მალე ავიწყდება, რადგანაც სკოლას ვერ აღუძრავს მასში თვითგანვითარებით სწავლის განგრძობის ხალისი. მაშასადამე, ხშირად ფუჭად ჩაუვლით ხოლმე სამის წლის შრომა და ტანჯვა-წვალება. ეხლა-კი მეორე-კლასიან სასწავლებლის მეოხებით უმაწვილებს საშუალება ეძლევა მეტი სწავლა-ცოდნა შეიძინონ, ამაღლდნენ გონება-ზნეობრივად. ამას დაუმატეთ სამეურნეო ცოდნის შეძენაც, რაიცა ქიზიყელების დაქვეითებულ ცხოვრებისათვის უსაჭიროესია და ცხადია, რომ მეორე-კლასიან სასწავლებელს დიდი სარგებლობა შეუძლიან მოგვიტანოს, აღგვამაღლოს ქონება-გონება-ზნეობრივად. რაც მალე გვექნება ეს სასწავლებელი, ის ემჯობინება საბედნიეროდ ჩვენდა და ჩვენის მოზარდ თაობისა. მომავალი თაობა დააფასებს ღვაწლს იმ პატიოსან ადამიანისას, რომელიც არავითარს შრომას არ ჰზოგავს, ამისთანა სასწავლებელი დაუარსოს ქიზიყელებს და ისეთი ყოველ-მხრივ შეფერებული ადგილიც ამოარჩია სასწავლებლისათვის.

ე. მ—შვილი

# რუსეთი

—

1897—98 წელს რუსეთის გაჭირვებულ სწავლულთა, ლიტერატორთა და პუბლიცისტთა დამხმარებელ მუდმივის კომისიის წევრებად იქმნებიან: თავმჯდომარედ—საიმპერატორო სამეცნიერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ლ. ნ. მაიკოვი, თამჯდომარის თანაშემწედ—აკადემიის მდივანი ნ. თ. დობროვინი, წევრებად ამორჩეულ იქმნენ: აკადემიკოსნი ვ. გ. ვასილიევსკი და მ. ი. სუხომლინოვი; ლიტერატორნი: ა. ნ. პიპინი და ა. ა. ტიხონოვი; ამათ კანდიდატებად დანიშნულ იქმნენ: აკადემიკოსი და ლიტერატორი პ. ი. ვეინბერგი; კომისიის საქმის მწარმოებლად—ნ. ი. პოზნიაკოვი.

— რუსეთის ყველა რკინის გზებმა თანხმობა განაცხადეს, 1-ლ აგვისტოდგან 10 ოქტომბრამდე საერთაშორისო სასტატისტიკო ინსტიტუტის მორიგ სესსის წევრნი საზღვრიდგან დაწყებული პეტერბურგსა და მოსკოვამდე უფასოდ ატარონ.

— სიამის მეფე 21 ივნისს მიბრძანდება ს. პეტერბურგს.

— „ვილენსკი ვესტნიკ“-ის სიტყვით, ფინანსთა მინისტრს საჭიროდ უცვნია 15 ივნისამდე სრულიად მოსპოს ქალაქის მანათიანების ძლევა ბანკის ზოგიერთ განყოფილებისა და სახაზინოებიდგან და ამის შესახებ სახელმწიფო ბანკს უკვე მიწერილობაც გაუგზავნია ზოგიერთ სახაზინოებში.

— შარშან სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ ერთს კერძო მამულში სპეციალურის კულტურის შესწავლა სცადა, სწერს გაზ. „მიროვიე ოტგოლოსკი“. ამუშავებდნენ და ასწავლიდნენ ასე 13—16 წლის გლეხის ობოლს ქალებს. პირველ ხნობით პიტნისა, გვირილისა და ზოგიერთა სხვა მცენარის კულტურას შეუდგნენ. ამ ცდამ საუცხოვო ნაყოფი მოიტანა და ამისათვის სამინისტრომ განიზრახა ზოგიერთა მემამულეთ სუბსიდია გაუჩინოს, რომ სპეციალურ კულტურის შესწავლასა და განვითარებას ხელი შეუწყოს. სამინისტრომ უმთავრესი ყურადღება სამკურნალო მცენარეულობას მიაქცია ლ ჰსურს საზოგადო მოუსავლიანობას როგორმე საშველი გაუჩინოს და ამ მცენარეების მოყვანით მაინც როგორმე ფეხზე დააყენოს სოფლის მცხოვრებნი, მით უფრო, რომ სამკურნალო მცენარეულობას კარგი ფასი აქვსო.

# უცხოეთი

—

**ინგლისი.** დედოფლის 60 წლის იუბილეის ინგლისელები დღესასწაულობენ არა მარტო ბანკეტებით, სადილებით და ვახშმებით, არამედ ამ იუბილეის გამო აარსებენ საავადმყოფოებს, თავშესაფარებს, სამკითხველოებს და სხვა და სხვა. ორმოც და ათ პროვინციის ქალაქში დაარსდა ღარიბთათვის უფასო საავადმყოფოები. 18 ქალაქმა საზოგადო სამკით-

---

მაგრამ იმდენი გაბედულება არ მქონდა, ეს მისთვის გამემხილა, რადგან მეშინოდა სასაცილოდ არ ავეგდე და მხოლოდ მითი ვიყავი კმაყოფილი, რომ ზოგჯერ ცოტას გავახელებდი, მის ცქრიალა სახეს მოვაჰყუნიებდი... აქამდის, საზოგადოდ, ერთმანერთში ლაპარაკიც უფრო ბავშური, თან ნაწყვეტ-ნაწყვეტი გვქონდა, ვიდრე ასე უხუმარი და ამიტომაც ამ საგანზედ თავის დღეში არა გვითქვამს-რა ერთი მეორისათვის. ის-კი, თურმე, ჩემსავით იყო დამკრთალებული და უთუოდ ჩემგან ელოდა პირველს ნიშანს საიმედოს, მაგრამ ასეთმა უბრალო შემთხვევამ ახსნა „ყოველივე. ქალის, ისიც ასე ახალგაზდის, მეექვსე, მეშვიდე კლასის „გიმნაზისტკას“, გულში მოზღვავებულმა გრძნობამ თავი ველარ შეიმაგრა და ის იყო კარს გადმოაბიჯა კიდეც...

— Право... ей Богу... [5]) მეც მოვყევ რუსულად, მაგრამ სრულიად ამებნა დავთარი.

რუსულად კი უთუოდ იმიტომ მოგვიხდა სიყვარულის გამორკვევა, რომ მარო თავისს ამხანაგებში იყო დაჩვეული და ასეთ წმინდა და საგრძნობელ სიტყვებს, თქვენგან არ მიკვირს, ქართულს აბა როგორ ანდობდა! სხვისის ენით კი ამ გვარ გრძნობათ ვითომ უფრო ლამაზად გამოსთქვამ, უფრო რაღაც მორიდებასა ჰგრძნობ, ვითომ და ვერ ეცრუები... ერთის სიტყვით, ჩვენ კი მაშინ ასე გვეგონა და... ის იყო მივაღწიეთ მოსახვევ ქუჩას, საითაც თითქმის ერთი ხორციელიცა არ მიჰპანებდა. პაწიას თოვლავდა და ერთ გვარად საამური მისი სიგრილე ჩვენს აღელვებულს პირი-სახეზედ სასიამოვნოდ დაგვქროლავდა. სრულიად უნებურად წასწვდა ჩემი ხელი მის ხელს, სრულიად უნებურად მივეკარით ორივ ერთი ერთმანეთს, მეორეს ქუჩაში ქვის გალავანზედ, ვით დაფრთხალი ჩიტები, ლ ჩემმა ათრთოლებულმა ლოყამ იგრძნო სხვა მთრთოლვარე ლოყის შეხება. რასაკვირველია, ლოყიდგან იქვე ახლო მეზობელთან გადასვლა აღარ დაგვყოვნებია... მაგრამ მოისმა ფეხის ხმა და ორივენი გულ-აფართქალებულნი სახლისაკენ გავეშურეთ... ეს ყველა თავის თავად, ჩვენდა უნებურად, მოხდა...

— სად დატრაშუნობ, ბოშო, ამდენ ხანს? ასე ტანტალი რავა იქნება?—ტუქსვით შეეგება მაროს დედა მისი.

— ლოცვაზედ ვიყავი და მერე ესეც წამოვიყვანე,—უჩვენა ჩემზედ.

—ოო, ეგ კარგი გიქნია, მარა ამდენ ხანს ქალიშვილის მარტო ტანტალი მაინც როდი ვარგა,—წაუკითხა დარიგება დედამ და თან მეც მომესალმა.

ჩემი მისვლა ამ ოჯახისთვის სასიამოვნო იყო, როგორც ახლო მეზობლის შვილისა, თითქმის მათ სახლში გაზრდილისა, და უთუოდ ამან ააცილა მაროს მწარე საყვედური, თორემ შეიძლება მეტიც რგებოდა. საზოგადოდ მე კარგის თვალით მიყურებდნენ ამათსა, შეიძლება ამასაც ჰფიქრობდნენ: თუ ღმერთმა ამ ორის შეუღლება მოგვასწრო, სხვა არა გვინდა-რაო, და ამიტომაც ჩემთან მაროს მარტო ყოფნა, მათის ფიქრით, ისე საავგო არ იყო, როგორც სხვასთან ვინმესთან მარტო „ტანტალი“ და „ტრაშუნი“.

ეს იყო პირველი ნასკვი ჩვენის რომანისა, მაგრამ tempora mutantur et nos mutamur in illis (დროსთან ერთად ჩვენც ვიცვლებითო), ამბობს ლათინური ანდაზა და მართალიც არის...

—

ჩემდა საუბედუროდ თუ საბედნიეროდ, დროთა ვითარებამ სწორედ ამ ნაშობევს სულ სხვა ქვეყანას, ჩრდილოსაკენ, ამომაყოფინა თავი და სულ სხვაგან მომცა სახსარი სწავლის განგრძობისა, ასე რომ ეს ნასკვი მხოლოდ ნასკვად დარჩა. ქართული ანდაზაც თურმე მართალს ამბობს: „როგორც თვალი შორს, ისე გულიც შორსო“...

პირველ ხანებში, მართალია, ხშირად წყვილი მარგალიტიც ჩამოგორდებოდა ხოლმე თვალთაგან, ეს უთუოდ, ისე, დავაჟკაცებული არ გახლდით, და იმიტომ მემართებოდა, მარგამ მერე, როდესაც ცხოვრებამ ცოტა უფრო გამაკაჟა და „სანტიმენტალობას“ იმდენად ყური აღარ ვათხოვე, ის ცბიერი და ცქრიალა სახე ჩემის ერთ დროს ღვთაება მაროსი თან-დათან მიმქრქალდა, გააჩრდილდა...

მას მერე ბევრმა წყალმა განვლო, ცოტა წელიწადებმაც და ეხლა, როდესაც უკვე სამსახურში მყოფი ქალაქის ცხოვრებით მოღალული კაცი სოფლის ბუნების უბრალოებაში ვსტკბებოდი, მისმა გამოგზავნილმა ბარათმა კვლავ წინ დამიყენა მისი სახე და სულ ძველის ძველი გულის იარა განმიახლა. ამ იარას თან ახლდა ჩემის სიყმაწვილის მოგონება, წარსული ტკბილი დრო, რომელიც მუდამ ისე კარგად გეჩვენება, და ამიტომ შევკივლე ისე: „ის არის ის, ღმერთო ჩემო“-მეთქი. დიაღ, რაღაც ტკბილმა ჟრუანტელმა დამირბინა მთელს ტანში, მაგრამ ეს ამბავი კი რაღა იყო, ეს ნიშნობა მაროსი? არ მეჰაშნიკა ეს ღალატი... მაგრამ რას ვამბობ? აბა მარომ რაში მიღალატა? მე თვით არ ვიყავი, რომ გავშორდი და ცოტა ხნის შემდეგ თითქმის სულ დავივიწყე? ეგ ხომ დროთა ვითარების გამო მოხდა?.. მე განა მინდოდა მისი დავიწყება? განა იმ ზამთრის ღამეს ვფიქრობდი, რომ მას ოდესმე დავივიწყებდი? მაგრამ ეგ ხომ გულის-თქმის აყოლის დროსაც ზოგჯერ, თურმე, ეგევე ფიქრი მოსდით,—საუკუნოდ მეყვარებაო! მაშ, ეს ჩემი სიყვარულიც გულის-თქმა იყო? არა. მე უფრო სხვა გვარად მიყვარდა... მიყვარდა და ეხლაც ვხედავ, რომ სულ სხვა რიგად, არ მოველოდი ისეც, მყვარებია. აბა რა არის ეს ძალა-უნებური სიხარული მის გახსენებაზედ, როდესაც ამ ქვეყანას თითქმის მოვშორდი და მისი აღარა მინდა-რა?.. აბა რა არის ეს უნებლიე წყენა, როდესაც გავიგე, რომ იგი სხვას მიჰყვება?.. არა, მიყვარს, მიყვარს და ეხლა-კი უფრო გაგიჟებით, უფრო მომწიფებულის გრძნობით... მაშასადამე, მას ხომ უღალატნია ჩემთვის?.. მე თუმცა დრომ და გარემოებამ დამაშორა, იგი მაინც სულის სიღრმეში საყვარლად მყოლია მიჩნეული და მაგას-კი... გარემოებამ მისცა თუ არა, მაშინვე სხვას წაეტანა... არა, არა!.. არც ერთი არა ვართ მართალნი—არც ის, არც მე. ორივენი ერთ-ურთს ვუდრივართ... იმ გვარის დროის შვილები ვართ?.. შეიძლება. მაშ უფრო დინჯად, ჩემო თავო, და წარა-მარა ქარისაგან ნუ მიმოიტაცები ხოლმე! მაროს ეხლა შენ სრულიად არ უყვარხარ, მისი გული სხვას ეკუთვნის და თუ ეხლა დაუპატიჟნიხარ, მხოლოდ მისთვის, რომ უთუოდ გაუგია შენი აქ ყოფნა და, როგორც ძველი მეგობარი იმათის ოჯახისა, აღარ დაგივიწყა.. აკი წერილშიაც ისე გწერს! ასე ვფიქრობდი, როდესაც ბარათი წავიკითხე, მაგრამ წასვლა მაინც გადავწყვიტე. მეტად მინდოდა მისი ნახვა ამდენის ხნის შემდეგ და ამ ნდომას-კი პასუხი ველარ შევკადრე... დამძლია!

ქუჯი

(შემდეგი იქნება)

---

[5]) სწორედ... ღმერთმანი...

ხველო დაარსა. 34 ქალაქმა ახალი გიმნაზია დააფუძნა. თვით ლონდონში სამი ახალი საავადმყოფო დაარსეს ამ იუბილეის გამო. თითქმის ისეთი ქალაქი აღარ დარჩა, რომ რაიმე ახალი სასარგებლო დაწესებულება არ გაემართა. ბევრგან ამ იუბილეის გამო ქუჩები გაანათეს, ახალი ბაღები გაჰმართეს და სხვანი.

არც ახალშენები ჩამორჩნენ ინგლისს. 300 სხვა და სხვა ქალაქმა იუბილეი გადაიხადეს საქველ-მოქმედო შეწირულებით: დააარსეს საავადმყოფოები, სასწავლებლები და მრავალი სხვა.

— საზღვარ-გარეთის ზოგიერთს გაზეთებს სწერენ ლონდონიდგან, რომ ვიქტორიას აზრადა აქვს უარი განაცხადოს მეფობაზედ უელსის პრინცის სასარგებლოდაო. წინადაც არა ერთხელ გამოუთქვამს დედოფალს ეს აზრი დაახლოვებულებთან ლაპარაკში, მაგრამ ეხლა განსაკუთრებულ მოწადინებულია განახორციელოს თავისი სურვილიო. დედოფალს უნდა თურმე თვით მოესწროს უელსის პრინცის დაგვირგვინებას.

—

**ყუბა.** კარგა ხანია კუნძულს ყუბაზე ამბოხებაა ისპანიის წინააღმდეგ და თუმცა ამ უკანასკნელმა აუარებელი ჯარი გაჰგზავნა მეამბოხეთა დასამშვიდებლად, მაგრამ ისინი მაინც არა სცხრებიან. ყუბელების გაჭირვებულს მდგომარეობას ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მიაქცია ყურადღება და მოსთხოვა ისპანიას, ომის მაგიერ ცვლილებანი შემოიღე კუნძულზედ და მკვიდრთა მდგომარეობა გააუმჯობესეო. ისპანია დაჰპირდა, მაგრამ დღესაც არ აუსრულებია თავისი დანაპირევი. ეხლა, როგორც გაზეთები იუწყებიან, შეერთებულის შტატების პრეზიდენტი მაკ-კინლეი მოწადინებულია მოსთხოვოს ისპანიას, რომ მან გაიწვიოს ჯარი კუნძულიდგან და მცხოვრებელთ თვითმმართველობა მიანიჭოს. ყუბელებს ნება ექმნებათ გამოსცენ ახალი კანონები, ხარჯი გააწერონ და მოჰკრიბონ, საერთოდ, როგორც უნდათ, ისე განაგონ შინაური საქმეები. ისპანიას მხოლოდ სახელი-ღა დარჩება და ყუბის შინაურ მართვა-გამგეობის საქმეში არავითარი უფლება არ ექმნება ჩაერიოს. თუ ვინიცობაა ისპანიამ უარი განაცხადა და თვით-მმართველობა არ მიანიჭა ყუბას, შეერთებული შტატების პრეზიდენტი ომს გამოუცხადებს — და ამ რიგად ბოლოს მოუღებს უსამართლო სისხლის ღვრას კუნძულზეო.

—

**თესალია.** თესალიასა და ეპირის ვალახებს შემდეგი წერილი გაუგზავნიათ კონსტანტინეპოლში მყოფ ევროპის წარმომადგენელთათვის: 1881 წელს ეპირისა და თესალიის ვალახებმა უარი განაცხადეს საბერძნეთთან შეერთებისა, მაგრამ ევროპამ არ შეიწყნარა იმათი თხოვნა და თესალია საბერძნეთს შეუერთა. ამის შემდეგი-კი ვალახთა გაღარიბება და განადგურება იყო. ბერძნებმა აღკრძალეს ეკკლესიებსა და სკოლებში ვალახური ენა და იმდენად შეავიწროვეს იმათი თავისუფლება, რომ უკანასკნელ ომის დროს ვალახები ოსმალეთის ჯარს შეუერთდნენ და საბერძნეთის წინააღმდეგ ომი დაიწყეს. ყველა ეს იმას ამტკიცებს, რომ ევროპის მიერ დიდი შეცდომა იყო, რომ თესალია საბერძნეთს შეუერთა. საბერძნეთის მთავრობამ დაარწმუნა ევროპა, რომ თესალიის მკვიდრნი ბერძნები არიან, ნამდვილად-კი უმეტესი ნაწილი ვალახი და მაჰმადიანია. მთელის ტრიკალიის მცხოვრებნი ვალახები არიან, რომელთ რიცხვი 100,000 სულს შეადგენს. ყველა ამის გამო ვალახები თხოულობენ გასწორებულ იქმნას 1881 წლის შეცდომა და თესალია საბერძნეთს დააშორონ.

შეიძლება ეს ამბავი თვით ოსმალებისაგან იყოს შეთხზული, რომ დაარწმუნონ ევროპა, რამდენად საჭიროა თესალიის ოსმალეთთან შეერთება. ყოველ შემთხვევაში, როგორ ცა სჩანს, ოსმალეთი ყოველს ღონესა ჰხმარობს, რომ თესალია შეინარჩუნოს.

## დამაკვირდი

საკუთარი ოჯახას ბოლი სხვისს ცეცხლსა სჯობია.

ლათინური ანდაზა

***

ვასწავლით რა სხვას, ჩვენცა ვსწავლობთ.

სენეკა

***

ისტორია არსებულისა ისტორიაა იმისი, რაც ყოფილა და რაც იქნება.

ბერნარდინ-პიერო.

## ჟურნალ გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

მრავალი წიგნი დაბეჭდილა შესახებ იმისა, როგორ იცხოვრებს ხალხი ასისა, ორასის და ათასის წლის შემდეგ. ასეთის წიგნების სიმრავლე საკვირველიც არ არის. ხალხი არ არის მადლიერი ეხლანდელის ცხოვრებით, სცდილობს როგორმე განაკარგოს და გააუმჯობესოს იგი, მოაწყოს უკეთესად თვისი გარემოებანი, საზოგადოდ უფრო მეტად დასტკბეს სიცოცხლითა და ამიტომ ოცნებობს, შესაძლებელია, შემდეგში მაინც უფრო კარგად იცხოვროს ხალხმაო.

მრავალ წიგნთა შორის საყურადღებოა მოთხრობა ლატროპისა, ერთს ინგლისურ ჟურნალში დაბეჭდილი. ბ-ნს ლატროპს შეშეუკრებია ყველა ის მოსაზრება და წინასწარმეტყველება, რომელიც-კი წარმოუთქვამს ჩვენის დროის თვალთ-მაქცსა და შესანიშნავს კაცს ედისონს და ამ მოსაზრებათა მიხედვით დაუწერია მეტად საყურადღებო მოთხრობა — „როგორ იცხოვრებს კაცობრიობა სამასის წლის შემდეგ“.

ჩვენის გაზეთის მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ ეგრედ წოდებული ინდოელი ფაკირები მთელს ქვეყანას აკვირვებენ თვისის სხვა-და-სხვა გვარ საოცარ ოსტატობითა და თვალთ-მაქცობით. მაგალითად, კაცს დააძინებენ, ჩაჰკიდებენ ორმოში, ორმოს გადაafარებენ ფიცრებს, დააყრიან ზედ მიწას, დასთესენ პურს, მოიყვანენ, მომკიან; მერე ახდიან ორმოს, ამოიყვანენ მიძინებულს კაცს და გააღვიძებენ. მეცნიერნი ამბობენ, ეს თვალთ-მაქცობა იმით აიხსნება, რომ ფაკირებმა რაღაც საშუალება იციან, რომლის ძალითაც დროებით აჩერებენ ადამიანის გულის ცემასა და სუნთქვასაო. კაცი არა კვდება; მხოლოდ დროებით ისპობა სისხლის მოძრაობა.

სწორედ აქედგან იწყობს ბ-ნი ლატროპი თავისს მოთხრობას. მეცნიერებმა აღმოაჩინესო ისეთი საშუალება, რომლის ძალითაც შეიძლება დროებით, რამდენს ხანსაც გნებავთ, შეაჩერონ ადამიანის გულის ცემა, სუნთქვა და სისხლის მოძრაობა. ამ გვარად არის კაცი, რამდენს ხანსაც გნებავთ, არცა კვდება და არც თუ ცოცხალი ეთქმის.

ერთი კაცი, სახელად ბემისი, დააძინეს ბანგით, მერე კანის ქვეშ შეუშხაპუნეს ისეთი წამალი, რომელიც თითქმის სრულიადა ჰსპობს გულის ძგერასა და სუნთქვას. მერე ბემისის სხეული დაასვენეს შუშის დიდს ყუთში. ყუთი გაავსეს ეგრედ წოდებულ ანტისეპტიულის ჰაერით და ასეთივე წამალი შეუშხაპუნეს ძარღვებში ცოცხალ-მკვდარს ბემისს. ყუთი მაგრად დახურეს და დაჰკეტეს ისე, რომ შიგ ჰაერი არ ჩასულიყო, შემოასხეს გარშემო კოლლოდიუმი და ასე შეინახეს. ამ გვარად ბემისის სხეული ისე ინახებოდა ყუთში, როგორც აბრეშუმის ჭია თვისს პარკში. მთელი სამასი წელიწადი დარჩა ბემისი ამ ყუთში და სამასის წლის შემდეგ გამოიღვიძა, ანუ უკედ რომ ვსთქვათ, გაცოცხლდა.

ბემისი ეხლა მეოცდამესამე საუკუნეში სცხოვრობს. რაღა თქმა უნდა, რომ ამ საუკუნეში ქვეყნიერებაზედ ელექტრონის ძალაა გამეფებული. ყველგან და ყოველივე ელექტრონის ძალითა კეთდება. მკვდრეთით ამდგარი ბემისი ელექტრონის რკინის გზით მიბძანდება ნიუ-იორკიდგან ვისკონსენში. იქ მისვლა დიდხანს არ მოუნდა, რადგანაც რკინის გზა ეხლა საათში 1000 ვერსზედ მეტს დადის. მერე რა უნდა ბ-ნს ბემისს ვისკონსენში?

ბემისმა შეიტყო, რომ ვისკონსენის მცხოვრებთ ტელეგრაფი გაუმართავთ დედამიწისა და მარსის პლანეტის შორის, აქედგან თავისს ამბავს ატყობინებენ და იქიდგან იქაურს ამბებს იგებენ. მერე როგორ მოახერხეს ამ ტელეგრაფის გამართვა?

ვისკონსენში გახლავთ პინოკიის მთა. ამ მთას გარს ახვევია აუარებელი რკინის მადანი, 300 ვერსის სიგრძე და 40 საჟენი სიგანე. მადნის სიღრმე არავინ იცის. ამ მადანში იმდენი რკინაა, რამდენიც მთელ შეერთებულ შტატებში არ მოიპოვება. ვისკონსენის მცხოვრებლებმა მთელს მადანს შემოავლეს მავთულები და ელექტრონის ძალის შემწეობით ეს ამოდენა რკინა გადააქციეს უშველებელ მაგნიტად და მაგნიტის შემწეობით უგზავნიან დეპეშებს სხვა პლანეტების მცხოვრებლებს.

ეს კიდევ არაფერი. ედისონის აზრით, ადვილად შესაძლებელია თვით ადამიანი წავიდეს მარსის პლანეტზედ და აი როგორ. გუდსონის ყურეში თურმე აღმოჩენილა ერთი კუნძული ამ კუნძულზედ უპოვნიათ ერთგვარი ლითონი, რომლიდგანაც კეთდება გელიუმი. გელიუმი უწინ დედამიწის ზურგზედ არსად ყოფილა, მზეზედ კი დიდი ხანია, რაც არის. გელიუმი ძლიერ განირჩევა სხვა ყოველ გვარ ლითონისაგან. ამ გელიუმის გაკეთება წინად არ იცოდნენ. ერთმა აფრიკელმა მეცნიერმა, (აფრიკა ეხლა, ესე იგი მეოც-და-მესამე საუკუნეში ძლიერ განათლებული ქვეყანაა) სახელად მვონჩამ შეიტყო გელიუმი იმ გვარად გადაკეთება, რომ დედამიწის მიმზიდველ ძალას არ დაემორჩილოს და სრულიად არავითარი სიმძიმე არა ჰქონდესო. ამგვარად გაკეთებული გელიუმი თავის თავად უნდა აფრინდეს ჰაერში. იმ დროს, როცა მეცნიერი მვონჩა სცდილობდა გელიუმის იმ გვარად გადაკეთებას, რომ მას სიმძიმე სრულიად დაჰკარგოდა, გელიუმი უეცრად აფრინდა და საბრალო, ქვეყნისათვის თავდადებული მეცნიერ მვონჩაც თან აიტანა.

შემდეგ სხვა მეცნიერებმა განავრძეს დიადი საქმე მვონჩასი და ისე გადააკეთეს გელიუმი, როგორც მვონჩა ჰფიქრობდა. გამართეს ვაგონი, გაუკეთეს გელიუმის ფარი და ჰაერში საფრენი მანქანა მზად გახლავთ. ჩაჯექით ვაგონში და საცა გნებავთ წაბრძანდით, რომელ პლანეტისაკენაც გნებავთ გაისეირნეთ. ვსთქვათ, მარსის პლანეტზედ გნებავთ წასვლა, ესეც ადვილია; ვაგონში საკმაოდ არის კისლოროდი, იმის ფიქრი ნუ გაქვთ, გზაში ჰაერი დამაკლდებაო. არც ძლიერ დაიღლებით მოგზაურობით. მარტო იმისთვის, რომ ვაგონი დედამიწის ატმოსფერას გასცილდეს, საჭიროა სულ ხუთი საათი. მერე, რადგანაც ჰაერი აღარ არის და ვაგონის მოძრაობას ხელს არაფერი შეუშლის, ვაგონი ისეთის სისწრაფით წავა, საითკენაც გნებავთ, რომლის წარმოდგენაც-კი ძნელია ადამიანის გონებისთვის, ესე იგი, ვაგონი ერთს წამში გაივლის 700,000 ვერსს. დედამიწიდგან მარსამდე 336 მილიონი ვერსია და ამ მანძილის გასავლელად საჭიროა სულ 480 წამი ანუ 8 წუთი. ხოლო როდესაც ვაგონი მივა მარსის ატმოსფერამდე, სისწრაფე მოაკლდება და თვით მარსამდე მისვლას მთელ სამ საათს მოუნდება. ამგვარად დედამიწიდგან მარსის პლანეტამდე მიხვალთ სულ 8 საათსა და 8 წუთში.

თვით დედამიწის ზურგზედაც მეოცდამესამე საუკუნემდე მრავალი საოცარი ცვლილება მოხდა. მატარებელი ეხლა სადგურებზედ აღარა ჩერდება. სადგურებზედ გამართულია რბილი ბალიშები. მატარებელში ისეთი მანქანაა გამართული, რომელიც თავის თავად გადმოისვრის კაცს რბილ ბალიშზედ. ამავე მანქანით სადგურიდგან მატარებელში გადისვრიან მგზავრსა.

ველოსიპედებისთვის საგანგებოდ გზებია გაკეთებული. ეხლანდელი ველოსიპედი ელექტრონის ძალით დადის. ცხენი სრულებით აღარსად არის გამოსადეგი, რადგანაც, აბა მიბძანეთ, რომელი ცხენი გაუსწრობს ელექტრონის რკინის გზასა და ჰაერში საფრენ მანქანას. ეხლა ცხენებს მხოლოდ ტყუილუბრალოდ ინახვენ, როგორც ძაღლსა და კატას.

გარდა იმ ჰაერში საფრენ მანქანისა, რომელზედაც წეღან მოგახსენეთ, გამართულია ჰერში სასიარულო ეტლები. ეტლს აბრეშუმის იალქნები აქვს და იმდენი გაზი, რომ 5 საჟენის სიმაღლეზედ შეიმაგროს. ეტლში გამართულია პატარა მანქანა ელექტრონისა. ეტლიდგანვე დაშვებულია დედამიწამდე ორი გრძელი ნიჩაბი ალიუმინიისა (ძლიერ სუბუქი ლითონია), ელექტრონის ძალა ამ ნიჩბებს ისე ამოქმედებს, რომ ეტლი საათში 350 ვერსს გაივლის. ასეთი ეტლი მხოლოდ პატარა მანძილზედ არის გამოსადეგი, როცა კაცი არსად მიეშურება.

ამ ეტლების გარდა არის აგრეთვე ჰაერში საფრენი დიდრონი ჰაეროსტატები. ამით დიდს მანძილზედ წავა კაცი.

ფოსტაც ჰაერში დადის დიდის სისწრაფით. წერილებით სავსე აბგები თავის თავად მიფრინავენ ელექტრონის ძალით და ფოსტის მიმოსვლა ისეა მოწყობილი, რომ თუ ვინიცობაა ქარმა წაიღო აბგა, არ დაიკარგება, ცოტა ხანს შემდეგ ისევ თავისს გზას მიაგნებს და იქითკენ წავა, საითაც გაგზავნილია, გზაში კოშკებია გამართული. ფოსტის აბგა მიეჯახება კოშკზედ გამართულ მანქანას, რომელიც იმ წამსვე შეაჩერებს აბგას და ქვემოდ ჩაუგზავნის ფოსტალიონს, რომელიც აბგას გახსნის და წერილებს დაარიგებს.

XXIII საუკუნის ხალხი სულ სხვაფრივ იკვებება. ხორცს აღარა სჭამენ. ეხლანდელი საჭმელი ძლიერ სუბუქია, ნოყიერებით ხორცს არ ჩამოუვარდება, მეტად გემრიელი გახლავთ და მარტო მცენარეულობისაგან შესდგება.

დიდრონ ქალაქების ხსენებაც კი აღარ არის. ხალხი პატარ-პატარა მშვენიერ სოფლებში სცხოვრობს, თითოეული სოფელი ტყეშია გაშენებული. დედამიწას ელექტრონის ძალით ამუშავებენ, რის გამოც მცენარეულობა ჩინებულად იზრდება. ვაშლი და მსხალი კარგა მოზრდილ საზამთროს ოდენაა.

(„მ. ო.“)

## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

„როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები ძველად“, დ. კუდრიავსკისა, თარ. ის. კვიცარიძისა. „ახალი მკითხველის“ № 1 გამოცემა.

ვიდრე შევუდგებოდეთ ჩვენის „შენიშვნების“ გაზიარებას, მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს დიდი მადლობა მოვახსენო „ახალი მკითხველის“ გამგეობას, რომ საზოგადოებას ამისთანა სასარგებლო წიგნი მიაწოდა. მართლაც და საზოგადოება დიდი ხანია ჰგრძნობს ამ გვარ სამეცნიერო წიგნების საჭიროებას, დიდი ხანია მოელის, მაგრამ ამ უკანასკნელ დრომდის ეს მოლოდინი არ უმართლდებოდა. ნათქვამია: „სჯობს გვიან, ვიდრე არას დროსაო“, და ჩვენც ვიმედოვნებთ, რომ ეხლა მაინც მიჰყოფენ ხელს ამგვარი წიგნების გამოცემას, რითაც დააკმაყოფილებენ მკითხველთა წყურვილს სამეცნიერო წიგნების კითხვისას. ბევრს მკითხველს თითქმის არავითარი წარმოდგენა არა აქვს ადამიანის პირველ დროის ცხოვრებაზედ; მას ჰგონია თავიდგანვე ასე ყოფილა, როგორც ახლაა, ბევრი საგანი მისთვის ბნელითაა მოცული... საჭიროა ამ ბნელის გაფანტვა და ამას-კი მხოლოდ სამეცნიერო წიგნები შესძლებს... მხოლოდ ეს არის, პატივცემულმა გამომცემლებმა თუ მთარგმნელებმა ყურადღება უნდა მიაქციონ იმ გარემოებას, რომ, როდესაც დააპირებენ რომელისამე დარგის სამეცნიერო წიგნის გამოცემას, უნდა ეცადნენ გადმოთარგმნონ იმ წიგნიდგან, რომელიც მ-ოფლიო ლიტერატურაში საუკეთესოდ ითვლება და რომელიც იძლევა სრულსა და რიგიანად გარკვეულს პასუხს სხვა-და-სხვა საგნისას. ეს მით უფრო საჭიროა, რომ ჩვენებური მკითხველი სამეცნიერო წიგნების კითხვას ჯერ სწორედ არ არის შეჩვეული და სასურველია პირველშივე ავაცდინოთ დაბნევას...

ამას, ცოტად თუ ბევრად, გვათქმევინებს ის წიგნი, რომლის სათაურიც ზევიდ ამოვწერეთ. ჩვენ არ ვამბობთ, რომ ეს წიგნი ბევრს სასარგებლო ცნობას არ შეიცავდეს, მაგრამ არ შეგვიძლიან გავჩუმდეთ და არა ვსთქვათ, რომ ამ საგანზედ უკეთესი თხზულება არ მოიპოვებოდეს. ჩვენ შემთხვევა არა გვქონია დ. კუდრიავსკის თხზულება რუსულს ენაზე წაგვეკითხა, მაგრამ, ვგონებ, ქართულის თარგმანითაც შეიძლება ითქვას, რომ ეს თხზულება სავსებით ვერ აკმაყოფილებს მკითხველთა სურვილს, ცნობის მოყვარეობას. ზოგიერთი საჭირო საგნები ისე მოკლედ და გაუგებრად არის გატარებული, რომ ძნელად თუ შუათანა მკითხველმა რაიმე წარმოდგენა იქონიოს იმ საგანზედ. სხვა-და-სხვა მოვლენას თუმც აღნიშნავს, მაგრამ იმას-კი, თუ რა მიზეზები ჰქონდა ან რამ გამოიწვია, ცოტა ყურადღებას აქცევს. მაგრამ დავასაბუთოდ ჩვენი სიტყვები.

გადაშალეთ მე-11 გვერდი და თქვენ წააწყდებით ამ გვარს აზრს: პირველ ყოფილმა ადამიანმა ხორცის ჭამა იმიტომ დაიწყო, რომ მისი აგებულება უხორცოთ ვერ გასძლებდაო. აქედგან, ვგონებ, ის გამოდის, რომ მარტო მცენარეულობით კვება სიცოცხლეს მოუსწრაფებდაო. ეს როგორღაც დაუჯერებლად მიგვაჩნია, რადგანაც, არა თუ პირველ ყოფილის ადამიანის, რომელიც ხორცის ჭამას ჯერ შეჩვეული არ იყო, არამედ თვით ეხლანდელის აგებულებაც-კი ადვილად იტანს მარტო მცენარეულობით კვებას. ამის მაგალითები ბევრია, თუნდა ეგრედ წოდებული „ვეგეტარიანთა“ ცხოვრება ავიღოთ... მართალია, ავტორს მაგალითი მოჰყავს, რომ რამდენისამე თვით გამხმარის პურის ჭამით გაბეზრებულნი აფრიკელნი მაიმუნის ხორცს ხარბად შეექცეოდნენო, მაგრამ ამითაც არაფერი მტკიცდება, გარდა იმისა, რომ ისინი (შემდეგის დროის აფრიკელნი) ხორცის ჭამას წინადვე იყვნენ ჩვეულნი და, როდესაც შემთხვევა ხორცის ჭამისა აღარ ეძლეოდათ, ძალა-უნებურად ღონდებოდნენ, თუმცა მცენარეულობით კვებითაც ვნება არა ეძლეოდათ-რა. პირველ-ყოფილის ადამიანის მიერ ხორცის ჭამის მიზეზი უფრო სხვაგან უნდა ვეძებოთ. ხშირად შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ მცენარეულობა (ამ სიტყვით ჩვენ ვგულისხმობთ ყოველგვარ მიწის მოსავალს, მასთან, რა თქმა უნდა, ხილეულობასაც) ადამიანს შემოჰკლებოდა ზამთრისა თუ სხვა რაიმე ბუნების მოვლენისა გამო, მაგალითად, მოუსავ-

ლობისა და სხ., რადგანაც მაშინ გონება ჯერ იმდენად არა ჰქონდა გახსნილი, რომ მომავლისათვის ეზრუნა და წინა დღით დაემზადებინა საკმაოდ. მაშასადამე, ძალა უნებრივ სხვაფრივ უნდა სცდილიყო, რომ სიმშილით არ მომკვდარიყო. აქ დაიწყო „ბრძოლა არსებობისათვის,“ რომელიც ახლაც ბრსებობს და არსებობს კიდეც, რა თქმა უნდა, არა იმ სახით, როგორც მაშინ იყო... დიაღ დაიწყო „ბრძოლა“. ადამიანმა მიჰყო ხელი ფრინველებისა, ცხოველებისა და სხვათა ჭამას, და თუ ამის შოვნაც გაუძნელდებოდა, მაშინ ერთმანეთსაც აღარ ინდობდნენ... აი, სწორედ აქედგან წარმოდგა კაცის მჭამლობაც, რომელიც ჯერაც არ მოსპობილა. შემდეგ-კი, როდესაც ერთმანეთის ჭამა ყოველთვის ვერა ხერხდებოდა (ყველა სცდილობდა სხვა შეეჭამა და იმავე დროს თავისი თავიც დაეფარა„ დაეცვა), ფრინველისა თუ ნადირის ხორციც მუდამ არ იშოვებოდა, —ადამიანმა დაიწყო გონებით მუშაობა: მიჰყო ხელი მიწის შემუშავებას, ჯოგების გაშენებას და სხ...

გადაშალეთ ახლა მე-34 გვერდი, სადაც ავტორი ძაღლის მოშინაურების შესახებ ჰლაპარაკობს. იგი ამბობს: „ძალიან ადვილი იყო ძაღლის შეჩვევა: კმაროდა მისთვის გადეგდო ვისმე ერთი ნაჭერი რამ და ძაღლი მოშინაურდებოდაო“... ცოტა წინ: „იგი (ძაღლი) არც იმდენად არჩევს(ეს ეხლა, მაშინ?) საჭმელს, სჯერდება ძვლებს, ფინჩხებს, ნამცეცებს და მისთანებსო?“... ამას რომ კითხულობთ, გგონიათ, რომ ძაღლი პირველს დროშიც ყველაფრით ისეთი იყო, როგორც ახლაა. მაგრამ განა ასეა? განა ძაღლი თავიდგანვე მხოლოდ მისთვის გაჩენილა, რომ ადამიანის ნასუფრალით ეცხოვრა?!. არა, ეს შეცდომად მიგვაჩნია, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ადამიანს „ნასუფრალი“ პირველში თითონაც არა ჰქონდა და მეორეც — განა ძაღლის თავისით არ შეეძლო საჭმლის შოვნა? თუ-კი უფრო სუსტი ცხოველი ჰშოულობდა, ის რაღა იყო? ამიტომაც, ძაღლის ეხლანდელის ბუნების მიზეზები სხვაგან უნდა მოვნახოთ. ვიდრე ადამიანი მიაღწევდა იმ დროს, რომ საჭიროდ ეცნო ძაღლის მოშინაურება, ეს უკანასკნელიც ისევე თავისით საზრდოობდა, როგორც სხვა მისი მაგვარი ცხოველები, მაგრამ როდესაც ადამიანმა დაიწყო მისი მოშინაურება, მაშინ, რასაკვირველია, მის გამოსაკვებადაც ადამიანსავე უ'და ეზრუნა, თორემ ძაღლი არ დაუდგებოდა. აი, ამ გაურჯელმა ანუ, თუ ასე ითქმის, ხელოვნურმა კვებამ ძაღლი ადამიანის „ნასუფრალით“ კვებას შეაჩვია. ათასის წლობით ამ გარემოებაში ყოფნამ ძაღლს თავისით საზრდოობა გადაავიწყა და ეხლა გავიძახით—ძაღლი ნასუფრალსაც სჯერდე'აო. იქნება ზოგიერთმა შენიშნოს, რომ ძაღლი თუ მოშინაურებული ცხოველია, რატომ მისის ჩამომავლობისა გარეულნი კი არ არიანო? პირველში, რა თქმა უნდა, იქნებოდნენ, მაგრამ ჟამთა ვითარებამ გამოლია. მიზეზი მრავალია, მაგრამ იქნება უპირველესი უფრო ის იყოს, რომ ვიდრე ძაღლი შინაურს (ადამიანთან) ცხოვრებას შეეჩვეოდა, ბევრი უდროვოდ იხოცებოდა და ამგვარად ჩამომავლობას ვეღარ ამრავლებდა, კაცი-კი იმას საჭიროებდა და ამიტომ სხვა-და-სხვას იჭერდა მოსაშინაურებლად. ამგვარად გარეული ძაღლი გამოილია.—ან შესაძლებელია ახლაც იყოს, მაგრამ გარეშე პირობებს სულ სხვა გვარ ცხოველად გარდაექმნას და ახლა შინაურ ძაღლს აღარც-კი ჰგავდეს.

(დასასრული იქნება)

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

17 ივნისი.

**პეტერბურგი.** უმაღლესი ბრძანებაა: სიმბირსკის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავადი ობოლენსკი დანიშნულ იქმნას ხერსონის გუბერნატორად.

**კოლომეია.** აქ ჰფიქრობენ, რომ რკინის გზაზედ მომხდარ უბედურების დროს 9 კაცი მოკვდა ან დაირჩო. ზოგიერთ საფოსტო და ძვირფასი ამანათი ამოღებულია საფოსტო ვაგონიდგან.

**ლონდონი.** დედოფალი, დიდის მთავრის სერგეი ალექსანდრეს ძის, დიდი მთავრინას ელისაბედ თეოდორეს ასულის და ბატტენბერგის პრინცესასთან ერთად ვინძორიდგან ლონდონს წაბრძანდა.

**კონსტანტინეპოლი.** ზღვათა კადეტთა კორპუსის 25 მოსწავლის საქმის გასარჩევად, რომელთაც ბრალდებათ ახალგაზდა ოსმალებთან ერთად მონაწილეობის მიღება, საგანგებო სამხედრო სასამართლო შესდგა.

**ვენა.** ლონდონიდგან მოსული ცნობები გვაუწყებს, რომ დროზი თანახმა იქნება კრიტის გენერალ გუბერნატორის თანამდებობა იკისროს იმ შემთხვევაში, თუ 200,000 გირ. სტერ. სესხი იქმნა აღებული ევროპის სახელმწიფოთა შუამავლობით, ოსმალეთის მცველები მალე იქმნებიან გაწვეულნი, ჯარი შესდგება უცხოელთა და ოსმალთაგან, ჟანდარმთა რაზმი შესდგება, შვეიცარიელთა და ბელგიელთაგან და თუ თვითმართველობის წესდება განხილულ იქმნა კრიტის საერო კრების მიერ.

**ლონდონი.** „Times“-ს დეპეშით ატყობინებენ კონსტანტინეპოლიდგან: „ელჩების ბჭობის დროს საფინანსო კომისიამ მოხსენება წარადგინა, რომელშიაც ნათქვამია, რომ საბერძნეთს შეუძლიან მხოლოდ 4 მილიონი გირ. სტერლინგი გადაიხადოს ისიც ნაწილ-ნაწილ ყოველ წლიურადაო.

**პარიჟი.** წინა ღამეს ელისეის მინდვრებში ასაფეთქებელი იარაღი იპოვნეს, აქ იმ აზრისანი არიან, რომ ვისიმე სიკვდილი ჰქონიათ განზრახულიო. გამოძიებამ გამოაშკარავა, რომ მანქანაში მხოლოდ ქვიშა იყო.

**ლონდონი.** კენსინგტონის მცხოვრებთაგან ადრესის მიღების შემდეგ დედოფალი ბუკინჰაგის სასახლეში წავიდა. მშვენიერი, თბილი ამინდია.

**ლონდონი.** 16 ივნისს რუსეთის საელჩოში ჩინებული და ბრწყინვალე დარბაზობა იყო. დაესწრნენ: დიდი მთავარნი სერგი ალექსანდრეს ძე და კირილე ვლადიმირის ძე, დიდი მთავრინა ელისაბედ თეოდორეს ასული, დიდი მთავრინა მარია ალექსანდრეს ასული, ჰერცოგინია საქსონ კობურგისა, სადიპლომატიო კორპუსი, უცხო სახელმწიფოთა ელჩები და მრავალნი წარჩინებულნი.

**კონსტანტინეპოლი** 27 ივნისს ელჩებს ბჭობა ექმნებათ, შემდეგ მე-9 სხდომა ზავის შესახებ მოსალაპარაკებლად. საელჩო წრეები აცხადებენ, რომ უმეტესი ნაწილი ცნობებისა მოლაპარაკების შესახებ, სიმართლეს მოკლებულიაო. ამ მოლაპარაკებას თანდა-თან თანხმობა მოსდევს, თუმცა საქმე გვიანდება, რადგან ბევრი წვრილმანი საგანია გამოსარკვევი და გადასაწყვეტი.

პეტერბურგის ბირჟა, 17 ივნისი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ მანეთიანი ოქრო . . . . . | — „ | — „ | 7.50 |
| 5%-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | $205\frac{1}{2}$ |
| $4\frac{1}{2}$% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | — „ | — „ | $100\frac{7}{8}$ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | „ — | — | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | „ — | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | „ — | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | „ — | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | — „ | $99\frac{1}{8}$ | — „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — | $282\frac{1}{2}$ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — | $245\frac{1}{2}$ |

## წერილი რედაქციის მიმართ

ძველს სენაკში შესდგა ახალი მეაბრეშუმეთა სამეგრელოს ამხანაგობა „შუამავალი“, რომელმაც წრეულსვე იყიდა აბრეშუმის პარკი საკმაოდ ბევრი და შეუდგა მის გაკეთებას. ამხანაგობამ იქვე სასწავლებლის გვერდით გააკეთა მოსახარში ღუმელი, სადაც ჰხარშავენ პარკს და მოხარშული, ახლად ორთქლ-ადენილი პარკი შეაქვთ სასწავლებელში იქავე გასაშრობად. მოგეხსენებათ, მოხარშულს პარკს საშინელი ცუდი და ჯან-მრთელობისათვის მავნებელი სუნი აქვს. ამხანაგობამ პარკის ყიდვა დაიწყო 27 მაისიდგან და ასე ჰხმარობდნენ ამ დროდგანვე სასწავლებლის სადგომსაც, თუმცა სწავლა 14 ივნისამდე არ შეწყვეტილა. მაშასადამე, დახოცილი ჭია, ცუდ და მავნებელ სუნიანი და ნორჩი ბავშვები ერთსა და იმავე შენობაში იყვნენ მოთავსებულნი, რაც, რასაკვირველია, სასიამოვნო და მოსაწონი არ უნდა იყოს.

გვეტყვიან, ბავშვებს ასწავლიდნენ მეაბრეშუმეობასაო. მაგრამ ეს თავის გამართლება ვერაფერი სიმართლე იქნებოდა, რადგან სასწავლებლად არც ეგზომ ბევრი აბრეშუმია საჭირო და ამ საგნით ეზოში სადმე, მოშორებით, შეიძლებოდა ეხარშათ იგი და ისე გაეთვალისწინებინათ ბავშვებისათვის ცოდნა აბრეშუმის ხარშვისა და გაშრობისა, რაც სამს თვეს გასტანს ხოლმე.

ამ გვარად, ახლად დაარსებულმა თანასაგრძნობმა სამეგრელოს ამხანაგობამ „შუამავალმა“ თავისს დასაწყისშივე ისე დაიწყო მოქმედება, რომ შესაძლებელია ვნება მოუტანოს ჩვენს მოზარდ თაობას, სენაკის სათავად-აზნაურო სასწავლებელში მოსწავლეთ.

იმედია, ამ შენიშვნას ყურადღებას მიაქცევს ვისიც ჯერ არს და აღუკრძალავს ამხანაგობის გამგეთ აბრეშუმის კეთებას სასწავლებლის სადგომში, მით უმეტეს, რომ ეს ამხანაგობა სავაჭრო სამრეწველო აზრით არის დაარსებული და სწავლასა და სასწავლებელთან საერთო არა აქვს-რა.

მანუჩარ კარტუზია

—

ჩვენი ხალხი სიბნელით არის მოცული, უსწავლელია. ამ სიბნელიდგან გამოსვლის საშუალებაც სკოლა არის. ამას ლაპარაკი არ უ'და. ამისათვის მე უკვე შევუდექი სკოლის დაარსებას ს. ვაყაში, მაგრამ საქმე დახმარება და შემწეობას ითხოვს. ამიტომ უმორჩილესად ვთხოვ ს. ვაყისა, სატივოს, აძვისისა, ვარდისუბნისა და გომის მემამულეთა და მოვაჭრეთ, რომ შეძლე'ისამებრ თავიანთი წვლილი არ დაიშურონ და ნივთიერი და ზნეობრივი დახმარება აღმოუჩინონ სკოლის დაარსების საქმეში. ჩვენის საზოგადოების შეგნებულ-შეძლებულნი მემამულენი და მოვაჭრენი, იმედია, სხვებსაც მაგალითს უჩვენებენ და ამ საკეთილო საქმეს სრულის თანაგრძნობით მოეპყრობიან. სკოლა დაარსდება სოფ. ვაყაში, ხოლო თუ სხვა რომელსამე სოფელს უფრო მოიწონებს მთავრობა და შემომწირველნი, მაშინ იქ დაარსდება სკოლა.

უმორჩილესად ვსთხოვ „Кавказъ“-ის რედაქტორს ეს წერილი თავისს გაზეთში გადაბეჭდოს, რადგანაც ხსენებულს საზოგადოებას რუსნიც ეკუთვნიან.

შემოწირულება მიიღება სადგურ გომში, „გორის მაზრის მემამულეთა დეპოში“. შემომწირველნი იქვე მიიღებენ კვიტანციას.

მღ. სვიმონ წერეთელი


# განცხადებანი

**ხე-ტყის საწყობი**

**„გომის ჯვარში“**

ახალი დამოყნის ქუჩა, კარაპეტოვის თუჯის ჩამოსასხმელ ქარხნის გვერდით, ისყიდება ყოველ გვარი ხმელი ნაძვის მასალა შენობებისათვის, კოჭები 24 კ. ვერშოკი, ხოლო ფიცრები 25 კაპ.

(1—126—1)

**Открыта подписка на новую большую ежедневную въ С.-Петербургѣ газету**

# „МІРОВЫЕ ОТГОЛОСКИ“

**1897 года,**

газету политическую, литературную, научную, общественную, финансовую и экономическую, **безъ предварительной цензуры**. Всѣхъ нумеровъ выйдетъ 360 въ годъ.

**Программа:** 1. Руководящія статьи по разнымъ вопросамъ. 2. Телеграммы отъ собственныхъ корреспондентовъ въ Россіи и за границей, равно отъ разныхъ телеграфныхъ агентствъ. 3. Статьи и извѣстія по вопросамъ врутренней и международной политики, а также статьи научнаго и практическаго содержанія по разнымъ отраслямъ. 4. Обозрѣніе движенія русскаго и иностраннаго законодательства и государственнаго управленія. 5. Церковный отдѣлъ—духовная литература. 6. Историческіе, бытовые и этнографическіе очерки. Жизнеописанія замѣчательныхъ дѣятелей. 7. Статьи и извѣстія по разнымъ отраслямъ финансовой и экономической дѣятельности въ Россіи и за-границей. 8. Обозрѣніе событій государственной и общественной жизни. Хроника и разныя извѣстія. Некрологи. 9. Областныя обозрѣнія и корреспонденціи изъ Россіи и другихъ государствъ. Отчеты о засѣданіяхъ различныхъ обществъ русскихъ и иностранныхъ. 10. Обзоръ текушей журналистики и замечательныхъ явленій литературы русской и иностранной. Критическія статьи о вновь появляющихся въ Россіи и за-границей книгахъ и сочиненіяхъ. 11. Статьи и извѣстія по вопросамъ искуства; новости театра, музыки, ремеслъ и проч. 12. Изящная словесность—повѣсти, романы, разсказы, сцены, стихотворенія, мемуары и путешествія. 13. Судебная хроника—русская и иностранная; судебныя рѣшенія и ихъ обсужденіе. 14. Статьи и извѣстія о движеніи повсемѣстно въ Россіи и за-границей промышленности, сельскаго хозяйства, торговли, горнаго дѣла и торговаго мореходства. 15. Статьи и извѣстія о дѣйствіяхъ русскихъ и иностранныхъ акціонерныхъ комиссій и разныхъ видовъ товариществъ. 16. Биржевыя извѣстія внутраннія и заграничныя. Ярмарки. Урожаи. 17. Рисунки историческіе и бытовые, соотвѣтствующіе содержанію статей. Портреты замѣчательныхъ дѣятелей. 18. Справочный отдѣлъ. 19 Казенныя и частныя объявленія.

**„Міровые Отголоски“** будутъ выходить въ объемѣ отъ однаго до двухъ листовъ формата бывшей газеты „Голосъ“ и будутъ печататься подобнымъ же крупнымъ и четкимъ шрифтомъ.

Всякаго рода рисунки и портреты будутъ печататься какъ въ текстѣ газеты, такъ и на особомъ полулистѣ, выходящемъ еженедѣльно по воскресеньямъ.

**Подписная цѣна въ Россіи:** безъ доставки на годъ—14 р., 6 м.—8 р., 3 м.—4., 1 м.—1 р. 50 к. Съ доставкой по городской почтѣ на годъ—16 р., 6 м.—9 р., 3 м.—4 р. 50 к., 1 м.—1 р. 80 к Съ пересылкою иногороднымъ на годъ—17 р., 6 м.—10 р., 3 м.—5 р. 50 к., 1 м.—1 р. За-границею: на годъ—26 р., 6 м.—14 р., 3 м.—8 р., 1 м.—3 р.

**Допускается разсрочка платежа подписныхъ денегъ:** для служащихъ—по соглашенію съ конторою чрезъ ихъ казначеевъ, для неслужащихъ—на слѣдующихъ условіяхъ: 6 р. при подпискѣ, 6 р. въ концѣ марта и 4 р. въ концѣ августа для городскихъ, 7 р. при подпискѣ, 7 р. въ концѣ марта и 3 р. въ концѣ августа для иногороднымъ подписчиковъ.

**Подписка принимается:** въ С.-Петербургѣ, въ главной конторѣ редакціи „Міровыхъ Отголосковъ“, Фонтанка (уголъ Лештукова переулка), домъ № 80, а также въ книжныхъ магазинахъ: Фену и К°, Невскій пр. 40, М. М. Ледерле, Невскій пр., 42 и Н. П. Карбасникова, Литейная ул., 46; въ Москвѣ—въ книжномъ магазинѣ Н. П. Карбасникова, Моховая, домъ Коха, и въ Варшавѣ—въ книжномъ магазинѣ Н. П. Карбасникова, Новый Свѣтъ, 69.

Редакторъ-издатель *К. В. Трубниковъ.*

(6—4)


Дозволено цензурою, Тифлисъ 18 го Юнія 1897 г. სტამბა ე. ხელაძის და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.